„ვამტკიცებ“
აჭარის ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი სალომე მელია

ონლაინ -ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში „შოთა ჭურკვეიძის თასი-2020”
10, 12 და 14 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის 13 ივნისი, 2020 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორი: აჭარის ა.რ. ჭადრაკის ფედერაცია; აჭარის ა.რ. სპორტის დეპარტამენტი;
   ჩატარების ვადები და ადგილი: 13 ივნისი, 2020 წ. საჭადრაკო პლატფორმა chess.com
   Zoom-ში შემოსვლა მოხდება 12:00 საათიდან. ლინკი დაიდება chess.com-ის აჭარის ჭადრაკის ფედერაციის კლუბის გვერდზე.
2. სისტემა და კვალიფიკაცია:
   ტურნირი ტარდება ონლაინ რეჟიმში, ფიდეს წესებით, შვეიცარული სისტემით 7 ტურად.
   მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები
   დაბადებულნი **2010, 2008 და 2006 წლის 1 იანვარს და შემდეგ.**
3. დროის კონტროლი:
   თითოეულ მონაწილეს მიეცემა 5 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე 2 წამის
   დამატებით.
   10 წლამდე კატეგორია დაიწყება 12:00 სთ-ზე, (ზუმში ჩართვა 11:00)
   12 წლამდე კატეგორია დაიწყება 16:00 სთ-ზე, (ზუმში ჩართვა 15:00)
   14 წლამდე კატეგორია დაიწყება 19:00 სთ-ზე. (ზუმში ჩართვა 18:00)

4. ტურნირში სათამაშოდ მონაწილეები უნდა დარეგისტრირდნენ თავიანთი სახელით
   საჭადრაკო პლატფორმაზე www.chess.com და შემდეგ გაწევრიანდნენ აჭარის ჭადრაკის
   ფედერაციის კლუბში - Adjarian Chess Federation.
   იხილეთ ბმული: https://www.chess.com/club/adjarian-chess-federation
   ტურნირის კენჭისყრაში გასაწევრიანებელი გრაფა გამოჩნდება თამაშის დაწყებამდე 1 საათით
   ადრე და მასში შეერთება (Join) შესაძლებელი იქნება თამაშის დაწყების ბოლო წუთამდე.

   მონაწილეებზე იქნება მონიტორინგი პროგრამა Zoom-ის მეშვეობით.

5. გამარჯვებულები:

I, II, III ადგილზე გასული მოჭადრაკეები (გოგონები და ჭაბუკები ცალ-ცალკე) ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაჯილდოვდებიან ფასიანი საჭადრაკო საჩუქრებით.

6. ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება კოეფიციენტით და პრიზები არ გაიყოფა;

7. პრიზიორები ვალდებულნი არიან პრიზის აღების დროს წარმოადგინონ დაბადების მოწმობა. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

8. მონაწილენი ვალდებულნი არიან დაიცვან chess.com-ის საზოგადოების წესები და პრინციპები;

9. მოჭადრაკე მიიღებს დისკვალიფიკაციას თუ აღმოჩნდება, რომ მან ისარგებლა დახმარებით ტურნირის მსვლელობის დროს (კომპიუტერული პროგრამით ან სხვა პირისგან). ის დაიბლოკება პორტალ chess.com - ზე და საპრიზო ადგილზე გასვლის შემთხვევაში ვერ მიიღებს პრიზს;
10. პარტიებზე განხორციელდება დაკვირვება chess.com - ის 'ანტიჩითინგის' სისტემით.

ტურნირის დირექტორი: აჭარის ა.რ. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი
სალომე მელია
ელ-ფოსტა s.melia@acf.ge ტელ: 599 06 94 97